სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №1107/01

CPV18100000; 39500000; 39800000; რაციონალური ხარჯი;

ქ. თბილისი 11 ივლისი 2019წ

ერთი მხრივ, სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი კომისიის თავმჯდომარის კახი ბექაურის სახით და მეორე მხრივ, შპს „სუფთა სახლი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ღვინიაშვილის სახით, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად და „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3.1 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში ხელშეკრულება) -,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.5. „მიმწოდებელი" – იურიდიული პირი, რომელიც შემსყიდველს აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.6. ,,მიღება-ჩაბარების აქტი" - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება საქონლის მიღების შემდეგ.

2. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელი შემსყიდველს მიაწვდის სარეცხი/საწმენდი და საპრიალებელ საშუალებებს (შემდგომში საქონელი) დანართი N1-ის შესაბამისად, ხოლო შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის მიღებული საქონლის საფასურს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 173.35 (ას სამოცდაცამეტი ლარი და ოცდათხუთეტი თეთრი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსყიდველი მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ეროვნულ ვალუტაში-ლარში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს საქონლის მიღების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერიდან და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.

5. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის საქონლის მიწოდებას შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, 2019 წლის 15 ივლისის ჩათვლით.
5.2. საქონელი მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. სტანდარტები და გარანტია

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხიანი და სტანდარტების შესაბამისი საქონლის მიწოდება.
6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
6.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები დეფექტის ან ნაკლის გამოსწორებისათვის და მიმწოდებელს მოსთხოვოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

7. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
7.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;
7.1.2. საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის მიღებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.2.2. უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს სათანადო ხარისხის საქონელი სრული მოცულობით.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი და შემოწმება

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ან/და შეამოწმოს საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.
8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და შემოწმების განხორციელების უფლება ენიჭება შემსყიდველის ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსს რევაზ მორგოშიას, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.
8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე, შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილება ენიჭება შემსყიდველის ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსს რევაზ მორგოშიას, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.
10.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.
10.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ასევე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ყალბია;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
11.6. ამ მუხლის 10.5. პუნქტის ა) ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

11. გამოყენებული სამართალი და ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
11.2. ხელშეკრულება დაიწერა ქართულ ენაზე. ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

12. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.
13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის შესახებ.

13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან დავის გადასაწყვეტად მიმართონ საქართველოს შესაბამის სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი, ხელშეკრულების ვიზირებაზე ხელისმომწერი პირები და მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე მაკონტროლებელი პირები ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ზოჭორმის ქ. №50/18 საიდ. კოდი: 204953050 სს ,,თი ბი სი ბანკი" ა/ა: GE11TB0600000000609326	შპს ,,სუფთა სახლი" მისამართი: ქ. თბილისი, ქსნის ქ. N 36 საიდ. კოდი: 202458893 სს „საქართველოს ბანკი" ა/ა: GE63TB4685536020100002

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური

შპს „სუფთა სახლი"
დირექტორი

ირაკლი ღვინიაშვილი

დანართი N1

CPV	შესყიდვის ობიექტი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარებში)	ჯამური ღირებულება (ლარებში)	CPV ჯამურად (ლარებში)
39800000	მისტერ. მუსკ. სამზრ. სქმენდი სითხე ტრიგ. ციტრუსის ენერგია 500	2	9.3	18.6	82.05
	გლეიდი ჰაერის აეროზოლი ანტითამბაქო 300მლ (12)	8	4.95	39.6	
	ტუალეტის იხვი 5ა1 ტყის 900 მლ (12)	3	7.95	23.85	
18100000	დომი ღრუბელი დიდი ზომის სამზარეულოს 3ც(მთლიანობა)	2	3.9	7.8	40.7
	დომი ნაგვის პაკეტი შესაკრავით 60ლ/10ც	5	4.3	21.5	
	ვილედა სახეხი ფოლადის სპირალისგან N2+1	2	5.7	11.4	
39500000	ბაგი ტილო მიკროფიბრა, მაგ/ტილო 40/40 1ც (კლეტკიანი) პატარა	7	3.3	23.1	50.6
	ჯეო მიკროფიბრი საწმენდი ტილო 60X80	5	5.5	27.5	
					173.35

შემსყიდველი:
სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური

მიმწოდებელი:
შპს „სუფთა სახლი"
დირექტორი

ირაკლი ღვინიაშვილი

ქ. თბილისი

11. ივლისი 2019 წ.

მიღება – ჩაბარების აქტი

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა“ (შემდგომში „კომისია“) და შპს „სუფთა სახლი“-ს შორის 2019 წლის 11 ივლისს გაფორმებული N1107/01 ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „სუფთა სახლის“ წარმომადგენელმა _____ ჩააბარა, ხოლო კომისიის წარმომადგენელმა რევაზ მორგოშიამ ჩაიბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხელშეკრულების 5.1 მუხლით დადგენილ ვადაში ღირებულებით 173.35 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

ჩაიბარა კომისიის მხრიდან

_____

ჩააბარა შპს „სუფთა სახლის“ მხრიდან

_____